

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2016 წლის დეკემბრის თვის ცვლილებების შემდგომ, რომლებიც ამოქმედდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილება არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

2016 წლის 29 დეკემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა ახალი რეგულაციები რომლებმაც გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რეკლამის შესახებ კანონსა, თამაშუქის შესახებ კანონში.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს 34-ე მუხლს დაემატა 2¹ და 2² პუნქტები, რომელთა თანახმადაც 2017 წლის 1 ივლისიდან მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით. ამ შეზღუდვისგან განსხვავებული წესის დადგენა

შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

ამავე ორგანულ კანონს დაემატა 641-ე მუხლი, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 15 იანვრიდან, შემდეგი შინაარსით:

ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი სამართლებრივი აქტით საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა მიმართ შესაძლებელია დაადგინოს:

- ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მე-5 ნაწილით (გარდა საპროცენტო სარგებლისა), მე-7 ნაწილითა და მე-8 ნაწილით (წინსწრებით დაფარვის საკომისიოსთვის) და 868-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესები;
- ბ) სესხის/საბანკო კრედიტის გაცემისას ან სახსრების მოზიდვისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2017 წლის 15 იანვრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ფუნდამენტური ცვლილებები საკომისიოსთან, პირგასამტეხლოსთან, საპროცენტო განაკვეთთან, ფულადი სახსრების მოზიდვის შეზღუდვასთან დაკავშირებით:

- ახალი ცვლილებით გარკვეულ შემთხვევებში შეიზღუდა მხარეთა მიერ პირგასამტეხლოს განსაზღვრის აბსოლუტური თავისუფლება;
- სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტს;
- იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის (გარდა 1000 ლარამდე სესხისა) ხელშეკრულებაში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან.
- სესხის გაცემის შემთხვევაში მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს;
- ფიზიკურ პირზე 100 000 (ასი ათას) ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. ლარით გაცემულ საბანკო კრედიტად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული სესხი/საბანკო კრედიტი;
- სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება, მის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2 პროცენტს აღემატება;
- საბანკო კრედიტის გაცემისას დაცული უნდა იქნას ზემოხსენებული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით;
- თუ გამყიდველი მეწარმეა, განვადებით ნასყიდობისას იგი ვალდებულია დაიცვას ზემოაღნიშნული მოთხოვნები საპროცენტო განაკვეთთან, საკომისიოსთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით;
- თუ მეწარმე ან ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფი ნებისმიერი ფორმით



იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, მაშინ თითოეული ფიზიკური პირისგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები. თუ მეწარმეს ან ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფს წარმოეშობა ამ ნაწილის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება, მაშინ მან 20-ზე ნაკლები ფიზიკური პირისგან მოზიდული 100 000 ლარზე ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს ამ ვალდებულების წარმოშობიდან 1 წლის განმავლობაში.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ცვლილებები არ გავრცელდება 2017 წლის 15 იანვრამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დამატა მუხლი, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის 01 ივლისიდან და ითვალისწინებს სანქციის დაკისრებას იმ პირებისთვის, რომლებიც დაარღვევენ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ახალ რეგულაციას რეკლამირებისა ან/და შეთავაზების გაკეთების დროს ლარში ფასდადების შესახებ.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. საქართველოს სასამართლო რეფორმის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ დონეზე დამკვიდრებას და მათ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა ხელფასის ჩამორთმევასთან დაკავშირებით საქმეზე: Paulet v. the United Kingdom (განაცხადი ნომერი: 6219/08).

აღნიშნული საქმე ეხებოდა აპლიკანტისთვის ხელფასის მიღების უფლების ჩამორთმევას მას შემდეგ, რაც იგი დასაქმდა ყალბი პასპორტით. განმცხადებელი ჩიოდა, რომ კონფისკაციის ბრძანება მის წინააღმდეგ არაპროპორციული იყო, რადგან იგი იწვევდა თითქმის ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაწეული პატიოსანი მუშაობის შედეგად დაგროვილი მთლიანი დანაზოგის კონფისკაციას; ამასთან, აღნიშნული სასჯელი უთანაბრდებოდა სისხლისსამართლებრივი უფრო მძიმე დანაშაულების - ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ორგანიზებული დანაშაულის -



დროს გამოყენებულ სანქციებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა), დაასკვნა, რომ დიდი ბრიტანეთის სასამართლოების ფარგლები აპლიკანტის საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით ძალიან ვიწრო იყო. კერძოდ, ევროსასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის მიმართ არსებული კონფისკაციის ბრძანება ემსახურებოდა საჯარო ინტერესს და არ იყო დაცული ბალანსი განმცხადებლის მიერ კონვენციით გათვალისწინებული თავისი ქონების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებასთან.

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უდნა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდანის პალასი) 0105, თბილისი.
(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რაიმე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რაიმე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly- ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.